2015 | სამოქალაქო აქტივიზმის 15 წელი

სარჩევი

2 ჩვენ შესახებ

4 აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

6 საქართველოს პრეზიდენტის მოლოცვა

7 გამგეობის წევრები

8 გიორგი ონიანი – ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოში

10 ლიკა საჯაია – ჩვენ პარლამენტში

12 ერეკლე ურუშაძე – ანტიკორუფციული სისტემები

14 ნინო რობაქიძე – მედია გარემო საქართველოში

16 ლევან ნატროშვილი – საარჩევნო გარემო, ეკონომიკის დარგები, საჯარო სამსახური – ჩვენი საქმიანობის მიმართულებები

18 გია გვილავა – მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება და სრულყოფა, როგორც ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი

20 მიხეილ კუკავა – საჯარო ფინანსების მეტი გამჭვირვალობისთვის

21 უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი (მთავარი იურისტი თეონა ზაქარაშვილი)

22 სამსახურიდან გათავისუფლებული ნინო ჯაკონიას საქმე (იურისტი თამთა კახიძე)

23 სამსახურიდან გათავისუფლებული სვეტლანა გაბუნიას საქმე (იურისტი ანი სალდაძე)

24 თენგიზ ღვინჯილიას აღდგენილი საკუთრების უფლება (იურისტი ლელა მოწონელიძე)

25 თენგიზ იაკობაშვილის მოპოვებული ბინადრობის უფლება (იურისტი მაგდა ჯიმშელეიშვილი)

26 საჯარო მოხელეების კონკურსში მონაწილე პირების უფლებების დაცვა (იურისტი ოლიკო შერმადინი)

27 საჯარო მოხელის სექსუალური შევიწროების საქმე სასამართლოში (იურისტი ანა ბერძენიშვილი)

28 მალხაზ ჭკადუა – ბათუმში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის ჩვენეული ხედვა

30 არჩილ თოდუა – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ზუგდიდში

32 ზურაბ ზამბახიძე – ქუთაისის ოფისის მიღწევები და გამოწვევები

34 ნანა ლობჟანიძე – იყავი აქტიური მოქალაქე და დაიცავი შენი უფლებები

36 პაატა ლოხიშვილი – კარიერა ორგანიზაციაში

38 ჩვენ 15 წელი შეგვისრულდა – სადღესასწაულო მიღება

40 დონორების სია

41 ფინანსური მონაცემები

ჩვენ შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის, მოღვაწეობა საქართველოში უკვე 15 წელს ითვლის. ჩვენი ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გლობალური მოძრაობის წევრია. ამ მოძრაობაში გაერთიანებულია 100-ზე მეტი დამოუკიდებელი ეროვნული ბიურო, დაახლოებით 30 ინდივიდუალური წევრი და საერთაშორისო სამდივნო ბერლინში.

ჩვენ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნულ ბიუროს წარმოვადგენთ საქართველოში. ჩვენი სათაო ოფისი თბილისში მდებარეობს და 40 თანამშრომელს ითვლის. ასევე გვაქვს რეგიონალური ოფისები ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში, სადაც 10 ადამიანი მუშაობს.

ჩვენი ***კონცეფციაა***, საქართველო იქცეს კორუფციისაგან თავისუფალ ქვეყნად საზოგადოების ყველა სეგმენტში. ისეთ ქვეყნად, სადაც ხალხი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იქნება ჩართული. ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ იმას, რომ გამჭვირვალობა და საჯაროობა საქართველოს მთავრობასა და კერძო სექტორში იყოს წესი და არა იშვიათი გამონაკლისი. ეს კი როგორც აქტიურ მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას, ისე დინამიური და სამართლიანი დემოკრატიული გარემოს მხარდაჭერას გულისხმობს.

ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ ვიკისრეთ ***მისია***, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობაში, კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის დამყარებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და პირდაპირი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში გამოიხატება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ***კორუფციას განსაზღვრავს როგორც მინიჭებული ძალა-უფლების პირადი მოგების მიზნით ბოროტად გამოყენებას***. კორუფციისაგან თავისუფალი გარემოს შექმნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ უმთავრესი მამოძრავებელი ძალა და იდეალია. კორუფციისაგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების უპირველეს დამაბრკოლებელ გარემოებად კი ჩვენ ცუდი მმართველობა - ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, არასაკმარისი საზოგადოებრივი კონტროლი და სუსტი ინსტიტუტები - მიგვაჩნია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ორიენტირია, უზრუნველყოს საიმედო, ფაქტებზე დაფუძნებული და სამართლიანი ანალიზი , რომელიც საკმარისად სიღრმისეულიც იქნება და დეტალურიც, რომ ზეგავლენა მოახდინოს და ბიძგი მისცეს დებატებს პოლიტიკის საკითხებზე. ამავე დროს, ჩვენი მიზანია, იმგვარად მოვახდინოთ ჩვენი საქმიანობის საზოგადოებისათვის გაცნობა, რომ იმ ადამიანებმაც, რომლებიც ექპერტებს არ წარმოადგენენ, ადვილად შეძლონ ჩვენი კვლევებისა და რეკომენდაციების გაგება და გათვალისწინება.

მომდევნო წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მოღვაწეობა უმთავრესად მიმართული იქნება ქვეყანაში დემოკრატიული გარემოსა და ყველა ქართველისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ; ჩვენს საქმიანობას ჩვენსავე ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით წარვმართავთ.

ეკა გიგაური, აღმასრულებელი დირექტორი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2010 წელს

აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

2015 წელს ჩვენი ორგანიზაცია 15 წლის გახდა. მე უკვე 5 წელია, რაც ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ვარ.

15 წლის მანძილზე ორგანიზაციაში ბევრი ცვლილება მოხდა, თუმცა უცვლელი დარჩა ჩვენი ლიბერალური ღირებულებები, რაც თანამედროვე სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს.

15 წლის წინ, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დაარსდა, საქართველო იყო ქვეყანა მყიფე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით და ძლიერი კორუფციული ქსელებით. ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგერსულ ცვლილებებს მიაღწია ამ 15 წლის განმავლობაში და ვამაყობ, რომ ჩვენც ამ პროცესში აქტიურად ვმონაწილეობდით.

მახსოვს, როცა ორგანიზაციაში სამუშაოდ მოვედი, გვქონდა ერთი ოფისი, რომელშიც 15 ადამიანი მუშაობდა. ახლა გვაქვს ოფისები თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. ასევე საპარლამენტო ოფისი საქართველოს პარლამენტში. ჩვენი გუნდი 50-დე პროფესიონალისგან შედგება. თუკი აქამდე ჩვენი საქმიანობა ორი სფეროთი შემოიფარგლებოდა, დღეს ჩვენ ვმუშაობთ ძალიან ბევრი მიმართულებით: ანტიკორუფციული რეფორმა, არჩევნები, მართლმსაჯულების რეფორმა, ჯანდაცვის რეფორმა, მედიკამენტების ფასები და სადაზღვეო მომსახურება, კონკურენციის გარემო, სახელმწიფო შესყიდვები, პარლამენტის ანგარიშვალდებულება, საკუთრების უფლება, ადგილობრივი თვითმმართველობების გამჭვირვალობა, საჯარო მოხელეების ტრეინინგები და, რაც მთავარია, ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს მოქალაქეებს უფასო იურიდიულ კონსულტაციებს. კიდევ ერთი მთავარი მიღწევა ისაა, რომ ჩვენ დავიწყეთ მუშაობა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებთან და მოსახლეობასთან რეგიონებში, ადგილებზე მათი პრობლემების მოგვარების მიზნით.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ წლების განმავლობაში ვერაფერს შევძლებდით იმ ადამიანების ძალისხმევის გარეშე, ვინც მუშაობდნენ და მუშაობენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ და თავისი ენერგიით და ცოდნით ცდილობენ წვლილი შეიტანონ ქვეყნის წინსვლაში.

ამ წლების განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი წარმატება ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების გარეშე, რომლებთან მუშაობის შედეგად შესაძლებელი იყო ბევრი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა.

ამ წლების განმავლობაში ჩვენი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა დონორების გარეშე, რომლებიც ჩვენ წამოწყებებს უჭერენ მხარს და საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის ზრუნავენ.

წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი წარმატება მედიის გარეშე, რომელიც ყოველთვის იყო დამაკავშირებელი რგოლი ჩვენსა და საზოგადოებას შორის.

> *ტოლერანტობა, კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა, სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება - ეს არის ის პრინციპები, რომლებითაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ხელმძღვანელობს.*

წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი წარმატება იმ პოლიტიკოსების გარეშე, რომელთაც ესმით განსხვავებული და კრიტიკული აზრის მნიშვნელობა და რომლებიც მიუხედავად ჩვენი მწვავე კრიტიკისა, თანამშრომლობენ ჩვენთან.

და რაც მთავარია, შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი წარმატება ჩვენი მოქალაქეების, რიგითი ადამიანების მხარდაჭერის გარეშე.

ბუნებრივია, არ ვაპირებთ მიღწეულით დაკმაყოფილებას. მომავალი წელი საარჩევნო წელია. საპარლამენტო არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ რეგიონის სტაბილურობისთვის. ჩვენ აქტიურად დავაკვირდებით საარჩევნო რეფორმას, მომავალ წელსაც ახალ პარლამენტს მოვთხოვთ საარჩევნო სისტემის შეცვლას თუ წელს სისტემა არ შეიცვლება. საფუძვლიანად შევისწავლით მედია გარემოს წინასაარჩევნო პერიოდში. დავიცავთ ჟურნალისტებს ზეწოლისგან თუ ასეთ შემთხვევებს ადგილი ექნება. ვითანამშრომლებთ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რათა მათ ადეკვატური წარმოდგენა ჰქონდეთ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტი

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს 15 წლისთავი

ძვირფასო მეგობრებო, გულითადად გილოცავთ ორგანიზაციის საიუბილეო თარიღს.

საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის არსებითია ხალხის ინტერესების შესაბამისი, სტაბილური, ევროპული ტიპის პოლიტიკური სისტემა. ასეთი სისტემა გულისხმობს ადამიანების ბედთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესის, ნებისმიერი გადაწყვეტილების სრულ გამჭვირვალობას, ყველა სახის კორუფციისაგან თავისუფლებას, მისი გამოვლინების დროულად აღმოფხვრას. ეს მიზანი მიუღწეველია საზოგადოების მუდმივი სიფხიზლისა და ჩაბმულობის გარეშე.

უკვე 15 წელია თქვენი ორგანიზაცია მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების, ანტიკორუფციული მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობის, მედიის თავისუფლებისა და სხვა მრავალი მიმართულებით მუშაობს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში.

ამ შრომამ დამსახურებულად მოგიპოვათ კარგი რეპუტაცია, საზოგადოების კეთილგანწყობა და გამორჩეული ადგილი დაგიმკვიდრათ არასამთავრობო სექტორში.

დაე, მომდევნო წლები მეტი განვითარებისა და წარმატების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის.

გიორგი მარგველაშვილი

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა საჯარო მოხელეებს არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, არამედ მოქალაქეებმაც უნდა მოსთხოვონ. ჩვენი ვცდილობთ, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პლათფორმების გამოყენებით, ვუზრუნველყოთ საზოგადოების ფართო ფენის ჩართვა „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს“ საქმიანობაში, რადგან სწორედ საზოგადოების ყველა ფენის აქტიური ჩართულობით შეიძლება იმ მიზნების მიღწევა, რისთვისაც დღეს ორგანიზაციის 50-ზე მეტი თანამშრომელი დაუღალავად შრომობს.

გიორგი ახალკაცი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარე

გამჭვირვალობა არა მხოლოდ ცნობილი კონცეფცია, არამედ გამოსადეგი ჩვევაა. გადაწყვეტილება, დაუმალო ინფორმაცია საზოგადოებას, ჩვეულებრივი მცდელობაა შენიღბო არაეთიკური საქციელი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გადამწყვეტ როლს თამაშობს, რათა ადამიანებმა დაინახონ და გაიგონ რა ხდება ქვეყანაში. ორგანიზაცია მონაწილეობს ძლიერი ინსტიტუტების შექმნაში, რაც საქართველოს შესაძლებლობას მისცემს დაიცვას საკუთარი ინტერესები და დამოუკიდებლობა.

მარკ მალენი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გამგეობის წევრი

მე მოწმე ვარ იმ შთამბეჭდავი ტრანსფორმაციისა, რის შედეგადაც საქართველო, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში არშემდგარი სახელმწიფო, გარდაიქმნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე რეფორმირებულ სახელმწიფოდ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სისტემის ნაკლოვანებების აღმოჩენით და ამ ნაკლოვანებების გამოსწორების გზების პოვნაში მონაწილეობის მიღებით. ვამაყობ, რომ შევუერთდი ამ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის გამგეობას, როდესაც ჯერ კიდევ ბევრია რამეა გამოსასწორებელი.

პოლ-ჰენრი ფორესტერი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გამგეობის წევრი

თუ გვსურს რომ მივაღწიოთ მდგრად განვითარებასა და სამართლიან საზოგადოებას, უნდა ვუზრუნველყოთ გამჭვირვალობა ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ადვოკატირებს ღია მმართველობას, ანტიკორუფციულ რეფორმებს, ინფორმაციაზე წვდომას, იცავს უსამართლო სახელმწიფო გადაწყვეტილებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებს. ის ადვოკატირებს გამჭვირვალობას, რომელსაც ყველა ჩვენგანისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მანანა ქოჩლაძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გამგეობის წევრი

მთავრობისა და ბიზნესის გამჭირვალობა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. „საერთაშორისო გამჭირვალობა- საქართველო“ ცდილობს შექმნას ნდობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული გარემო, სადაც თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ჯასტინ ბანკროფტი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გამგეობის წევრი

გიორგი ონიანი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ორგანიზაციას შემოურთდა 2015 წელს

ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ მუშაობის დაწყების სურვილი სწორედ რომ ამ ორგანიზაციის მიერ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გაწეული უმნიშვნელოვანესი საქმიანობის შედეგად გამიჩნდა. პირვანდელი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამიმყარდა, როდესაც ამ ყველაფერს შიგნიდან შევხედე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ახალგაზრდა, მოტივირებული და ოპტიმისტურად განწყობილი პროფესიონალებისაგან შედგება, რომლებიც დიდი შემართებით და ერთგულად ასრულებენ თავიანთ ყოველდღიურ სამუშაოს. მათ ამოძრავებთ კეთილშობილური იდეა, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, პირადი და სამოქალაქო თავისუფლების ღირებულებათა დამკვიდრებით ხელი შეუწყონ უკეთესი საქართველოს ჩამოყალიბებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევების შედეგებს ხშირად იყენებენ მისათითებლად საერთაშორისო შეფასებებში, მათ ასევე დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო სტრუქტურებში. ორგანიზაცია ცნობილია მაღალი ხარისხის ანგარიშებითა და ობიექტური შეფასებებით. ეს ჭეშმარიტად იმ კოლექტივის პროფესიონალიზმის დამსახურებაა, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ამ საქმეში არანაკლები დამსახურება აქვს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელობას, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობას წარმართავს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ტიპური ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან საკმაოდ განსხვავდება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვმუშაობთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, მაგრამ ჩვენ ასევე ჩართულნი ვართ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროში - სასამართლო სისტემასა და საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმებში ჩვენი მონაწილეობიდან და შეფასებებიდან დაწყებული საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის მხარდამჭერი კონცერტებისა თუ უკანონო თვალთვალის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების ორგანიზებით დამთავრებული. ჩვენ ვმონაწილეობთ რამდენიმე სხვადასხვა ფორუმსა და საკონსულტაციო საბჭოს მუშობაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით ჩვენ საკმაოდ განვითარებული არასამთავრობო ორგანიზაცია ვართ - გარდა იმისა, რომ 7 საიტის ადმინისტრირებას ვახდენთ, ვცდილობთ, საზოგადოდ, მოწინავე ტექნოლოგიები დავნერგოთ, მაგალითად, შევქმნათ მონაცემთა შემოქმედებითი ბაზები, რომლებიც უფრო მოსახერხებელი იქნება გამოსაყენებლად და ინფორმაციის უფრო ადვილად დამუშავებისა და გაგების საშუალებას მოგვცემს. აგრეთვე მიგვაჩნია, რომ ჩვენი კვლევის შედეგებისა და დასკვნების უფრო ციფრული სახით წარმოდგენა მათ გაგებას გააიოლებს და წასაკითხად უფრო საინტერესოს გახდის.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამოვკვეთდი, ღია მმართველობის პარტნიორობაა (OGP). „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც OGP-ს პროცესში ჩაერთო - ჯერ კიდევ 2012 წელს ჩვენი ორგანიზაცია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ბრაზილიაში გამართულ ღია მმართველობის პარტნიორობის პირველ სამიტში. გასული წელი ამ მხრივ ჩვენთვის საეტაპო წელი იყო, განსაკუთრებით კი GOP-ის საკანონმდებლო მიმართულებით; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ამ პროცესში დასაწყისიდანვე ფლაგმანის როლს ასრულებდა. ჩვენ ვმონაწილეობდით საპარლამენტო ფრაქციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შედგენილი პარლამენტის პირველი ინტერფრაქციული

სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, რომელმაც შეიმუშავა ღია პარლამენტის პირველი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის 18 ვალდებულებიდან 6 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მომზადდა. ეს ვალდებულე-ბები შეეხებოდა მონაცემების ხელმისაწვდომობას, მნიშვნელოვანი დოკუმენტების პროაქტიულად გამოქვეყნებას, განმარტებითი ბარათების დახვეწასა და საპარლამენტო ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტების ყველასათვის ხელმისაწვდომი სამომხმარებლო ფორმატების გამოყენებას. ღია მონაცემთა სტანდარტებთან დაკავშირებული ჩვენი რამდენიმე რეკომენდაციის ნახვა შესაძლებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მიღებულ და Sunlight Foundation-ის მიერ 2012 წ. დამტკიცებულ ღია მონაცემთა ათ სამოქმედო პრინციპში. აღნიშნული დოკუმენტის დანიშნულება ღია მონაცემთა გამოყენების საუკეთესო სტანდარტების იმგვარად ჩამოყალიბებაა, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ჩართულობა, ხოლო საჯარო ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და თავისუფლად გამოსაყენებელი გახდეს როგორც შექმნის მომენტისათვის, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს წარმატებების გასაძლიერებლად 2015 წ. სექტემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პარლამენტთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით თბილისში „გლობალური საკანონმდებლო ღიაობის შეხვედრა“ მოაწყო. სწორედ ამ შეხვედრაზე წარმოვადგინეთ პირველად ღია პარლამენტის ჩვენი შედარებითი ანალიზი - ანგარიში, რომელშიც ერთმანეთთანაა შედარებული საქართველოს საკანონმდებლო და საპარლამენტო პრაქტიკა. გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენს მიერ შემუშავე-ბულ მეთოდოლოგიასა და მიდგომებს ნიმუშად გამოიყენებენ OGP-ის სხვა ქვეყნებში. კვლევის მეთოდოლოგიური კომპონენტის თაობაზე უკვე გაიმართა რიგი საჯარო კონსულტაცია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და NDI DC-ის ოფისთან.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჩვენი მიზანია, მომავალშიც ერთობ აქტიურად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით. მეტიც, ***„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ცდილობს, ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამა სასამართლო სისტემაშიც აამოქმედოს, რაც ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს დანერგავს მართლმსაჯულების სფეროში.*** ამ მხრივ მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

ლიკა საჯაია, პროექტის მენეჯერი, საპარლამენტო მდივანი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2014 წელს

ჩვენ პარლამენტში

2015 წელს ჩვენი ორგანიზიცია კვლავ განაგრძობდა პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობას.

საპარლამენტო გუნდი მონაწილეობას იღებდა საკომიტეტო მოსმენებსა და კომიტეტების მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.

2015 წელს 30-ზე მეტ კანონპროექტს გავუკეთეთ ანალიზი და შენიშვნები წერილობითი ფორმით მივაწოდეთ კომიტეტის თავმჯდომარეებს. ასევე, მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე 20-მდე ბლოგი გამოვაქვეყნეთ. მისასალმებელია, რომ ჩვენი შენიშვნების ნაწილი საკანონმდებლო ორგანომ გაითვალისწინა.

2015 წელს აღსანიშნავია ჩვენი საქმიანობა საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის მიმართულებით. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 8 მაისს სამი მოსმენით მიიღო ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში. ცვლილებებით გათვალისწინებული იქნა ჩვენი საკანონმდებლო წინადადებების დებულებების აბსოლუტური უმეტესობა და შედეგად, კანონმდებლობაში არსებული არაგონივრული ბარიერების მნიშვნელოვანი ნაწილი გაუქმდა. პარლამენტში ასევე წარვადგინეთ საკანონმდებლო წინადადება ნეპოტიზმის კრიმინალიზების შესახებ და ანტიკორუფციული კანონმდებლობის პაკეტი, რომელთა განხილვა ჯერ-ჯერობით არ დასრულებულა.

2015 წელს ორგანიზაციის საპარლამენტო გუნდმა მეორედ გამოაქვეყნა პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური შეფასება. შევიმუშავეთ რეკომენდაციები პარლამენტის საქმიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით. რეკონემდაციათა ნაწილი გაზიარებული იქნა პარლამენტის მიერ. მაგალითად, გაუქმდა რეგლამენტის მუხლი, რომელიც ოჯახური მდგომარეობის გამო გაცდენას საპატიო მიზეზად მიიჩნევდა. აგრეთვე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარლამენტის ვებგვერდის გამჭვირვალობის და ინფორმირებულობის ხარისხი.

პარლამენტის მონიტორინგის ფარგლებში დავწერეთ კვლევა საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილზე დეპუტატის კითხვა/შეკიხვაზე, რომლის ფარგლებშიც გავაანალიზეთ მე-8 მოწვევის პარლამენტში სადეპუტატო კითხვები და მთავრობის წევრთა პასუხები.

2015 წელს ჩვენ კვლავ ვაგრძელებდით მოქალაქეთა ინფორმირებას ჩვენი საპარლამენტო გვერდის მეშვეობით. საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების ყოველ კვირას ვამზადებდით საპარლამენტო ამბების პოდკასტს, მოქალაქეებს სმს-ის საშუალებით ვაწვდიდით ინფორმაციას პარლამენტში დაგეგემილი ღონისძიებების შესახებ. ჩვენი ვებ გვერდის მეშვეობით www.chemiparlamenti.ge მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ კითხვა დაესვათ დეპუტატისტვის მათთვის მნიშველოვან საკითხზე და მიეღოთ მასზე პასუხი.

2014 წელს აქტიურად ვითანამშრომლეთ პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროებთან.

ბიურების თანამშრომლებისათვის ჩავატარეთ ორი ტრენინგი ბიუჯეტის თემაზე, რომელსაც ბიუროს აპარატის 60-მდე თანამშრომელი დაესწრო.

ერეკლე ურუშაძე, პროგრამის მენეჯერი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2009 წელს

ანტიკორუფციული სისტემები

2015 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მეორედ გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასების ანგარიში. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის მოდელი „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ბერლინის სამდივნოს მიერ 2000-იანი წლების დასაწყისში შექმნილ მეთოდოლოგიას ეფუძნება და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება კორუფციის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მდგრადობის შეფასასებლად. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის კვლევის ფარგლებში უკვე მეორედ შევაფასეთ ჩვენი ქვეყნის ძირითადი ინსტიტუტების (მათ შორის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების) მდგომარეობა. პირველი მსგავსი კვლევა 2011 წელს გამოქვეყნდა და 2015 წლის შეფასება კარგი შესაძლებლობა იყო ბოლო ოთხი წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებების განსახილველად. წლის ბოლოს ასევე გამოვაქვეყნეთ ადგილობრივი ანტიკორუფციული სისტემების შეფასება თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

2015 წლის დასაწყისში ჩვენ მოვამზადეთ და საქართველოს პარლამენტს წარვუდგინეთ საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი, რომელიც დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას ითვალისწინებს. ვფიქრობთ, რომ მსგავსი სააგენტოს შექმნა მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტურობას.

2015 წლის განმავლობაში ჩვენი გუნდი მუშაობდა ანტიკორუფციული პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც. ჩვენ შევისწავლეთ ქონებრივი დეკლარაციებისა და მამხილებელთა დაცვის სფეროებში არსებული საერთაშორისო გამოცდილება და ამ გამოცდილების საფუძველზე მოვამზადეთ რეკომენდაციები ქართული კანონმდებლობისა და შესაბამისი ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. წელს გამოქვეყნებული კიდევ ერთი ჩვენი კვლევა საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრაქტიკაში შესრულების ტენდენციებს ეხებოდა.

> *ჩვენი ორგანიზაციის ანტიკორუფციული პროგრამები საკითხის ფართო ხედვას ემყარება, რომელიც მხოლოდ კორუფციის ყველაზე მარტივ და თვალსაჩინო ფორმებზე არ არის ფოკუსირებული და მიზნად ისახავს ასევე ამ პრობლემის უფრო კომპლექსური გამოვლინებების პრევენციას საზოგადოების ყველა სექტორში და მმართველობის ყველა რგოლში.*

და ბოლოს, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ჩვენმა გუნდმა ასევე შეაფასა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება 2014-2015 წლებში ანტიკორუფციული პოლიტიკისა და ადმინისტრაციული რეფორმების მიმართულებით.

განსაკუთრებული კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ 2015 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებების ვრცელი პაკეტი არაერთ იმ რეკომენდაციას ასახავს, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ ბოლო წლების მანძილზე მოამზადა და გამოაქვეყნა. ეს ცვლილებები მოიცავს, მაგალითად, 2017 წლიდან თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ამოქმედებას და მამხილებელთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწას.

ნინო რობაქიძე, ორგანიზაციის მედია პროგრამის მენეჯერი, ორგანიზაციას შემოურეთდა 2015 წელს

საქართველოს მედია გარემო

2015 წელი ქართული მედიისთვის გამოწვევების წელი იყო. შესაბამისად, ჩვენი გუნდისთვისაც ძალიან აქტიური, მნიშვნელოვანი მოვლენებით, საინტერესო კვლევებითა და მიგნებებით დატვირთული წელი აღმოჩნდა.

მიუხედევად იმისა, რომ მედია სივრცე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შედარებით პლურალისტური და თავისუფალი გახდა, 2015 წლისთვის უკვე ნათლად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც ქვეყანაში თავისუფალ მედია სივრცეს საფრთხეს უქმნიდა.

ჩვენ შევისწავლეთ რეგიონული მედიის წარმომადგენლებზე ზეწოლის არაერთი გამოუძიებელი შემთხვევა, ვაკვირდებოდით სხვადასხვა ტელეარხზე ერთმანეთის მიყოლებით პოპულარული პოლიტიკური თოქშოუების დახურვის პროცესს. 2015 წელს, სამწუხაროდ, ჩვენ ისევ გვიწევდა ჟურნალისტების წინააღმდეგ პირადი ინფორმაციის გამოყენების ფაქტებზე საუბარი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გასულ წელსაც იცავდა იმ ტელეკომპანიებისა თუ ცალკეული ჟურნალისტების უფლებებს, რომლებსაც მიზანმიმართულად ექმნებოდათ დაბრკოლებები საკუთარი პროფესიონალური საქმიანობის წარმართვაში. ჩვენი ორგანიზაცია დღესაც იცავს სასამართლოში ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო სამსახურიდან წასული ოცამდე ჟურნალისტის ინტერესებს.

2015 წლის ბოლო თვეების მანძილზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აქტიურად მუშაობდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ მიმდინარე სამართლებრივი დავის მონიტორინგზე. ჩვენ ვცდილობდით რთული პოლიტიკური კონტექსტის და ისტორიის მქონე პროცესის მიმდინარეობისას არ დაზარალებულიყო ქვეყანაში პლურალისტური მედია გარემო და საფრთხე არ დამუქრებოდა ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული და პოპულარული მედიის არსებობას. გვიხარია, რომ მედიის, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისა და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ ეს მოვახერხეთ.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნო ჩვენი გუნდის მიერ მედიის მფლობელობის საკითხებზე მომზადებული განახლებულ კვლევა „ვის ეკუთვნის ქართული მედია.“ ეს კვლევა უპრეცედენტოა, რამდენადაც ეხება არა მხოლოდ მსხვილი მედია საშუალებების მფლობელობის საკითხებს, არამედ იკვლევს ონლაინ მედიასაც. ჩვენ შევძელით ამ კვლევით გვეჩვენებინა ბოლო წლებში მომრავლებული ანტიდასავლურად განწყობილი ონლაინ მედიასაშუალებების მფლობელების კავშირები და პოლიტიკური ინტერესები. ვთვლით, რომ ჩვენი საზოგადოება იმსახურებს იცოდეს, თუ ვინ ფლობს ქართულ მედიას, ასევე ვინ იხდის ფულს პროპაგანდაში, რომელსაც თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურად ინფორმაციად სთავაზობენ.

ლევან ნატროშვილი, პროგრამის მენეჯერი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2012 წელს

საარჩევნო გარემო, ეკონომიკის დარგები, საჯარო სამსახური - ჩვენი საქმიანობის მიმართულებები

2015 წელს მე და ჩემი გუნდი ბევრი სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობდით. ჩვენი საქმიანობის სფეროებია: საარჩევნო გარემო, ქვეყნის ეკონომიკური დარგების მონიტორინგი, საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესები.

როგორც ავღნიშნე, ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა საარჩევნო პროცესების მონიტორინგია. ასევე, ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს საარჩევნო საკითხების გაუმჯობესების კუთხითაც.

> *2015 წელს ჩვენ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ვცდილობდით ხელისუფლება დაგვერწმუნებინა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის შეეცვალა მანკიერი საარჩევნო სისტემა.*

არსებული შერეული სისტემის მთავარი სისუსტე მის მაჟორიტარულ ნაწილს უკავშირდება. ჩვენი რეკომენდაცია იყო, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისულება იზიარებს საქართველოში არსებული მაჟორიტარული სისტემის პრობლემების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკურმა კოალიციამ სისტემის ძირეულ გარდაქმნაზე ამ ეტაპზე უარი თქვა.

საარჩევნო სისტემის რეფორმირების გარდა, ჩვენმა ორგანიზაციამ აქტიურად იმუშავა სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა მსგავსი სტატუსის მქონე ამომრჩევლისთვის შექმნილი სპეციალური საარჩევნო უბნების საკითხის უკეთ მოწესრიგების კუთხითაც. ***ხელისუფლებამ გაიზიარა ჩვენი რეკომენდაცია სამხედრო ნაწილებში სპეციალური უბნების გაუქმების შესახებ, თუმცა უარი თქვა მეორე და უფრო მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულებაზე, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების მაჟორიტარულ არჩევნებში ხმის მიცემის შეზღუდვას შეეხებოდა.***

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ რეგულარად აქვეყნებს კვლევებს ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი დარგების შესახებ. 2015 წელს ჩვენ შევისწავლეთ ნავთობპროდუქტების ბაზარი და აზარტული თამაშების ბაზარი.

ნავთობპროდუქტების ბაზრის შესახებ ანგარიშის ძირითადი მიგნება ის იყო, რომ 2012 წლის შემდეგ ამ დარგში კონკურენცია უმნიშვნელოდ, მაგრამ გაიზარდა. მთავარ პრობლემად კვლავ რჩება საწვავის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის სისტემის ფაქტობრივი არარსებობა. ჩვენი ინფორმაციით, მთავრობა აქტიურად მუშაობს ასეთი სისტემის შემოღებაზე.

აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით, ამ საქმიანობიდან შემოსული თანხები ბევრი ტურისტული ქალაქის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. აზარტული თამაშების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ონლაინ თამაშების ვებგვერდებზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზებია. ასევე, ყურადსაღებია ფულის გათეთრების კუთხით არსებული რისკები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წლების განმავლობაში აქტიურ მონიტორინგს უწევს საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესებს. 2015 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ გამოსცა ანგარიში, რომელშიც შეფასებული იყო საჯარო დაწესებულებების საკადრო პოლიტიკა და საჯარო მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები. ანგარიშში მთლიანობაში დადებითად შევაფასეთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის დებულებები და მიმოვიხილეთ წინა წლების განმავლობაში არსებული უარყოფითი პრაქტიკა.

2015 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა გამოაქვეყნა. მათ შორის აღსანიშნავია მოცულობითი ანგარიში, რომელშიც გაანალიზებული იყო ამ კუთხით არსებული საკნონმდებლო ბაზა და პრაქტიკა. განსაკუთებული აქცენტი გაკეთდა არსებულ პრობლემებსა და საინტერესო ტენდენციებზე.

გია გვილავა, პროგრამების მენეჯერი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2011 წელს

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება და სრულყოფა, როგორც ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი

2015 წელს მე და ჩემი გუნდი აქტიურად ვმუშაობდით მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის, მისი ეფექტურობის ზრდისა და დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერების კუთხით. გარდა ამისა, ჩვენ ვიმუშავეთ პროკურატურის, სისხლის სამართლისა და ადმინისიტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის რეფორმის მიმართულებითაც.

2015 წლის ივნისში ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ვენეციის კომისიის მიერ ვენეციაში ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაში, სადაც განიხილებოდა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტები პროკურატურის რეფორმის თემაზე. შეხვედრაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მთავრობის, პროკურატურისა და პარლამენტის წარმომადგენლები. ჩვენი და ჩვენი პარტნიორების მიერ ვენეციის კომისიისთვის გაზიარებული ფაქტიურად ყველა კრიტიკული საკითხი საბოლოოდ კომისიის დასკვნაში აისახა.

უკვე ოთხი წელია ვაწარმოებთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგს, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოს მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. 2015 წელს 1 ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც დეტალურად ასახავს საბჭოში მიმდინარე პროცესებს, საქმიანობის ხარვეზებსა და მიღწეულ გაუმჯობესებებს. ანგარიშის დიდი ნაწილი მნიშვნელოვან რეკომენდაციებს მოიცავს.

ჩვენი გუნდის წევრი იურისტების დიდი ძალისხმევის შედეგად სასამართლო სისტემაში არსებული უმწვავესი პრობლემები და საეჭვო პროცესები პირველად გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. მიმაჩნია, რომ სისტემის მანკიერი მხარეების მხილება და საზოგადოების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მისიაა.

2012 წლიდან ვახორციელებთ გახმაურებული სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. 2015 წელს მესამე ანაგარიში გამოვაქვეყნეთ. ჩვენი ანგარიშებით საჯაროდ წარმოვადგენთ მაქსიმალურ ინფორმაციას სასამართლოს დარბაზში განვითარებულ მოვლებზე, ასევე ვახორციელებთ მიღებული საპროცესო გადაწყვეტილებებისა და მხარეთა პოზიციების შეფასებას.

2015 წლის მანძილზე ჩვენ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ვიმუშავეთ, რომელიც სასამართლოს, პოლიციას და პროკურატურას შეეხებოდა. გამოვაქვეყნეთ რამდენიმე შეფასება/კვლევა, ბლოგი და ანგარიში. პარალელურად პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ვმუშაობდით კონკრეტულ რეკომენდაციებზე, რომელსაც ვაწვდიდით როგორც მთავრობას, ასევე პარლამენტს.

2015 წლის მიწურულს ჩვენმა ორგანიზაციამ პარტნიორებთან ერთად (კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებში) წამოიწყო ახალი კამპანია სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემის, მოსამართლეთა შერჩევის ხარვეზიანი წესის შესაცვლელად.

2015 წლის 9 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” და უზნაეს სასამართლოს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მხარეები განახორციელებენ მართლმსაჯულების საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის განვითარებისკენ მიმართულ ერთობლივ სასწავლო, კვლევით და ანალიტიკურ პროექტებს. ამასთან, მხარეები ითანამშრომლებენ საერთო სასამართლოების სისტემისათვის საინფორმაციო სისტემების დახვეწის მიმართულებით.

2015 წლის ივნისის თვიდან განახლდა და ოქტომბრის თვეში დასრულდა ერთობლივი მუშაობა მნიშვნელოვანი განმარტებების საძიებო სისტემის დახვეწის და განახლების კუთხით. უშუალოდ საძიებო სისტემა შეიქმნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” დახმარებით და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. მისი მიზანია უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული არსებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამოყოფა (სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე) და საძიებო სისტემის გამოყენებით მისი გაცნობა როგორც მოსამართლეებისათვის, ასევე მართლმსაჯულების მონაწილე პირების, აკადემიური წრეებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მიხეილ კუკავა, უფროსი ანალიტიკოსი ორგანიზაციას შემოუერთდა 2011 წელს

საჯარო ფინანსების მეტი გამჭვირვალობისთვის

2015 წელს, ისევე როგორც წინა წელს, ჩვენი ძალისხმევა საჯარო ფინანსების მართვის პროცესის პოლიტიკური გავლენებისგან განთავისუფლებისკენ იყო მიმართული.

საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ეროვნული ბანკიც ინაწილებენ. საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის მიხედვით, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ისე ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, რაც ნიშნავს, რომ მთავრობა ამ ორ ინსტიტუტზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. მიუხედავად ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიებისა, მთავრობა 2015 წლის მანძილზე არაერთხელ ეცადა მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვას საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამოცილებით, ისევე როგორც 2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე ზეწოლას. ჩვენ ამ ცვლილებების წინააღმდეგ დავიწყეთ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება. მოგვიანებით კი, საპარლამენტო უმცირესობასთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. სასამართლოს მეგობრის წერილით მივმართეთ, სადაც შევთავაზეთ ჩვენი ახსნა თუ როგორ შეუშლიდა ხელს ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამოცილება თავისი მოვალეობების შესრულებაში.

2015 წელი მნიშვნელოვანი იყო საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის სხვა მიმართულებებითაც. ჩვენ სწორედ ამ წელს ეჭვქვეშ დავაყენეთ მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრის, 2014 წლის ბიუჯეტის დეფიციტის სანდოობა, რაც მთავრობამ მეთოდოლოგიური თავისებურებებით ახსნა, თუმცა საბოლოოდ მოუხდა ბიუჯეტის დეფიციტის სწორი მონაცემის გამოქვეყნება.

2015 წელი დატვირთული იყო საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ტრენინგებითაც. ამ ტრენინგების ჩატარება მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების და ზუგდიდის, ახალციხის და მარნეულის საკრებულოების წევრების და მერიის თანამშრომლებისთვის გადავწყვიტეთ. ტრენინგების მიზანი საკანონმდებლო საბიუჯეტო ზედამხედეველობის გაუმჯობესება იყო, კერძოდ, პარლამენტის და საკრებულოების წევრების მიერ ბიუჯეტის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების პროცესში კვალიფიციური კითხვების დასმის ხელშეწყობა, ვინაიდან, ჩვენი აზრით, დეპუტატების მიერ კვალიფიციური კითხვების დასმის გარეშე შეუძლებელია ეფექტური საკანონმდებლო საბიუჯეტო ზედამხედველობა.

მთავრობის ანგარიშვალდებულება ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობას მომავალ წლებშიც აქტიურად ვგეგმავთ. ჩვენი აზრით, მთავრობის ანგარიშვალდებულების ზრდა საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის უფრო მაღალი ხარისხის გარეშე შეუძლებელია.

ალაკი - უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი

თეონა ზაქარაშვილი, მთავარი იურისტი, თბილისის ოფისი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურიდიული დახმარების ცენტრი 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, განაგრძობდა ადვოკატირებას და მოქალაქეთა წარმომადგენლობას სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. ძირითადი საკითხები დაკავშირებული იყო როგორც საკუთრების თემასთან, ასევე საჯარო სამსახურიდან განთავისუფლებასა და საკონკურსო - საატესტაციო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებასთან. ჩვენი ორგანიზაციის იურისტების მიერ წლის განმავლობაში 88 საქმეზე განხორციელდა სასამართლო წარმოამადგენლობა.

მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესო იყო საკონკუსრო - საატესტაციო პროცესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება. საჯარო სამსახურში პოზიციის დაკავების მსურველთათვის კომისიის მიერ გამოცხადებული უარი გასაჩივრებულ იქნა საერთო სასამართლოებში. ყოველ ჯერზე, სასამართლო ბათილად ცნობდა და აუქმებდა კომისიის გადაწყვეტილებას, როგორც დაუსაბუთებელს და უკანონოს. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი სახის სასამართლო პრაქტიკა შემდგომში საშუალებას მისცემს საჯარო სამსახურში პოზიციის კონკურსის წესით დაკავების მსურველს უფრო მაღალი სტანდარტით დაიცვას უფლებები.

თავისი მნიშვნელობით საინტერესო იყო პროცესები, რომლებიც უცხო ქვეყნების მოქალაქეთათ-ვის საქართველოში ბინადრობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას უკავშირდებოდა.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლების განმავლობაში ჩვენი იურისტები იცავდნენ მოქალაქეთა საკუთრების უფლებებს. ხშირად საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება და შემდგომ შეწყვეტა ხდებოდა. შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში მესაკუთრეებს გაეწიათ სამართლებრივი დახმარება და სასასმართლო წარმომადგენლობა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და თბილისის ოფისების ცხელი ხაზის მეშვეობით წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სატელეფონო კონსულტაციები, ისევე როგორც მოქალაქეებთან ინდივიდუალურად შეხვედრები და გარკვეულ შემთხვევებში მათთვის სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება.

სამსახურიდან გათავისუფლებული ნინო ჯაკონიას საქმე

იურისტი თამთა კახიძე, ქუთაისის ოფისი

2014 წლის 1 ოქტომბერს ჩვენი ბენეფიციარი, ნინო ჯაკონია უკანონოდ გაათვაისუფლეს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიიდან. იგი წლების მანძილზე მუშაობდა მერიის ერთ-ერთი სამსახურის განყოფილების უფროსად. ჩვენ მივმართეთ სასამართლოს და მოვითხოვეთ გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და ამ პერიოდში გაცდენილი ხელფასის ანაზღაურება. დავა 2015 წელს დასრულდა, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი, გააბათილა გათავისუფლების ბრძანება და დაავალა მერიას თავიდან ემსჯელა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ეს გადაწყვეტილება სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ დარჩა ძალაში, თუმცა მერიამ მიუხედავად ამისა, თავისი გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად და უარი უთხრა უკანონოდ გათავისუფლებულ თანამშრომელს თანამდებობაზე აღდგენაზე.

ჩვენი ბენეფიციარის ინტერესების დასაცავად კვლავ მივმართეთ სასამართლოს. ამჯერად სასამართლოს სრულად დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა. მოსამართლემ დაავალა მერიას აღედგინა მოსარჩელე თანამდებობაზე და ასევე აენაზღაურებინა ამ პერიოდის მანძილზე სრულად გაცდენილი ხელფასი იმ პრემიებისა და დანამატების ჩათვლით, რაც სადღესასწაულო დღეებში იქნა გაცემული უკლებლივ ყველა თანამშრომელზე.

ამ პერიოდისათვის მოქალაქისათვსი ასანაზრურებელი თანხა შეადგენს დაახლოებით 27 000 ლარს.

სამსახურიდან გათავისუფლებული სვეტლანა გაბუნიას საქმე

იურისტი ანი სალდაძე, ქუთაისის ოფისი

სვეტლანა გაბუნია 2007 წლიდან მუშაობდა ფოთის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დევნილთა სამასახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანმადებობაზე. 2014 წლის სექტემბრის თვეში ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო რეორგანიზაცია, რის შედეგადაც ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დევნილთა სამსახური, რომელშიც მუშაობდა სვეტლანა გაბუნია, გარდაიქმნა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურად. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვითონ სოციალური დაცვის განყოფილებაში განყოფილების უფროსის საშტატო ერთეულს რეორგანიზაცია არ შეხებია, უცვლელი დარჩა ის ფუნქციებიც, რომელიც გათვალისწინებული იყო განყოფილების უფროსის თანამდებობისთვის.

აღნიშნულის მიუხედავად, 2014 წლის 1 ოქტომბერს სვეტლანა გაბუნია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველს რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირება წარმოადგენდა.

სვეტლანა გაბუნიამ დახმარების თხოვნით მომართა ჩვენი ორგანიზაციის ქუთაისის რეგიონულ ოფისს. ჩვენ ფოთის საქალაქო სასამართლოში გავასაჩივრეთ გათავისუფლების ბრძანება, ასევე მოვითხოვეთ სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. დავა საბოლოოდ 2015 წელს ჩვენი წარმატებით დასრულდა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო ბრძანება და დაავალა მუნიციპალიტეტის მერიას ადმინისტრაციული წარმოების სათანადოდ ჩატარების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა როგორც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, ასევე უზენაესმა სასამართლომ. მიუხედავად ამისა, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ არ შეცვალა გადაწყვეტილება და უარი უთხრა სვეტლანა გაბუნიას კუთვნილ თანამდებობაზე აღდგენაზე.

სვეტლანა გაბუნიას ინტერესების დასაცავად კვლავ მივმართეთ ფოთის საქალაქო სასამართლოს. დავა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს.

72 ადამიანი

აღადგინეს სამსახურში

თენგიზ ღვინჯილიას აღდგენილი საკუთრების უფლება

იურისტი ლელა მოწონელიძე, ზუგდიდის ოფისი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის სამართლებრივი დახმარებით, თბილისში მცხოვრებმა თენგიზ ღვინჯილიამ საკუთრების უფლება სასამართლოს გზით აღიდგინა.

თენგიზ ღვინჯილიამ 2006 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში მიწის ნაკვეთი შეიძინა და საჯარო რეესტრში კანონის სრული დაცვით დაარეგისტრირა. მან 2014 წელს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა და კუთვნილ ნაკვეთზე საზღვრებისა და ფართობის დაზუსტება მოითხოვა.

საჯარო რეესტრმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან ზედდება დაადგინა, რადგანაც 2009 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, თენგიზ ღვინჯილიას მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრმა სახელმწიფოს საკუთრებად დაარეგისტრირა. .

თენგიზ ღვინჯილიამ 2014 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის წარმომადგენლობას მომართა. ჩვენი დახმარებით, 2015 წლის 21 აპრილს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა – მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს რეგიტრაცია გაუქმდა და საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს თენგიზ ღვინჯილიას 2014 წლის მოთხოვნის რეგისტრაციაში გატარება დაევალა.

თენგიზ იაკობაშვილის მოპოვებული ბინადრობის უფლება

იურისტი მაგდა ჯიმშელეიშვილი, თბილისის ოფისი

2015 წლის 14 აპრილს ჩვენ შევიტანეთ სარჩელი, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა, უკრაინის მოქალაქე თენგიზ იაკობაშვილისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე. ჩვენი ბენეფიციარი, თენგიზ იაკობაშვილი დაბადებით საქართველოს მოქალაქე გახლდათ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი მშობლები დღემდე საქართველოს მოქალაქეები არიან. შესაბამისად, იგი აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ კრიტერიუმს მიეღო საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა.

თუმცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი ეფუძნებოდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ მუხლებს, რაც გულისხმობს, „არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ“ და „იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს“. აღნიშნული გადაწყვეტილება ფაქტობრივად ეფუძნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საიდუმლო დასკვნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდა. მიუხედავად, იმისა, რომ საქმეში ფიგურირებდა კონტდაზვერვის საიდუმლო დასკვნა, რომელსაც რეალურად ეყრდნობა სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააგენტოს უარი ჩვენი ბენეფიციარისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურმა ხელახლა განიხილა ჩვენი ბენეფიციარის განცხადება. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილებით თენგიზ იაკობაშვილს მიეცა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვა.

საჯარო მოხელეების კონკურსში მონაწილე პირების უფლებების დაცვა

იურისტი ოლიკო შერმადინი, თბილისის ოფისი

2015 წელს ჩვენი ორგანიზაციის იურისტების დახმარებით მოქალაქეებმა საჯარო სამსახურში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსებთან დაკავშირებული 15 საქმე მოიგეს. თითოეულ შემთხვევაში სადავო გახდა გასაუბრების ეტაპის შედეგები, რომელიც მოსარჩელეთა აზრით, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით იქნა მიღებული. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს შორის იყო თბილისის, გურჯაანის, ახალგორის, საგარეჯოსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კონკურსების შედეგები.

მთელი წლის მანძილზე მოსარჩელეთა ინტერესებს სასამართლო პროცესზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტები ვიცავდით. საბოლოოდ, თითოეულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ გასაუბრების ეტაპის მიმდინარეობისას არ იქნა დაცული გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპები, რაც ეჭვქვეშ აყენებდა მიღებული შედეგების კანონიერებას. შედეგად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიებს დაევალათ გასაუბრების ეტაპის ხელახლა ჩატარება, კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯაროობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრიციპების დაცვით, და ახალი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება.

საჯარო მოხელის სექსუალური შევიწროების საქმე სასამართლოში

იურისტი ანა ბერძენიშვილი, ბათუმის ოფისი

აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში მომუშავე ქალბატონი, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ითხოვა, ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა, რის შესახებაც მან სამმართველოს უფროსს აცნობა, თუმცა რეაგირების ნაცვლად, თავად ეს ქალბატონი, რომელიც ამავდროულად ფეხმძიმედ იყო, „უღირსი საქციელისა“ და საჯარო სამსახურის მიმართ დისკრედიტაციის განხორციელების ბრალდების გამო გაათავისუფლეს.

სამმართველოს უკანონო ქმედებებს თავის მხრივ ხელი შეუწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც ასევე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა (აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადამინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების და საკადრო რესურსების მართვის განყოფილება) გააუქმა, რათა დავის მოგების შემთხვევაშიც კი მას რეალურად აღარ შეძლებოდა სამსახურში აღდგენა.

გათავისუფლებულმა ქალბატონმა დახმარებისთვის “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიმართა. ჩვენ საქმე ავიღეთ და სასამართლო წარმომადგენლობა განვახორციელეთ, რის შედეგადაც გაუქმდა ქუთაისის სააპილაციო სასამართლოს განჩინება მ.მ.-ს თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

11 თვის შემდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გათავისუფლების შესახებ ბრძანება ბათილად ცნო. დაზარალებული ქალბატონი აღდგენილი იქნა აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ვფიქრობთ, აღნიშნული სასამართლო პროცესი ნათელი გამოვლინებაა იმისა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკა. არ აქვს გენდერული დისკრიმინაციისა და სამსახურში სექსუალური შევიწროვების ამკრძალავი ეფექტური ნორმები და მექანიზმები, რაც სახალხო დამცველის რეკომენდაციამაც დაადასტურა. ნაცვლად იმისა, რომ საჯარო სამსახურს გამოეკვლია ორსული ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის არსებობა, მან უკანონო ქმედებით – მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრძანების გამოცემით სცადა ამ ფაქტის დამალვა.

მალხაზ ჭკადუა, რეგიონული ოფისების მენეჯერი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2013 წელს

ბათუმში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის ჩვენეული ხედვა

ბათუმის ოფისმა 2015 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხებზე იმუშავა: ხარვეზები და არასრული მონაცემები თანამდებობის პირთა დეკლარაციებში, სახელმწიფო შესყიდვებში აღმოჩენილი ნაკლოვანებები, პრობლემები მუნიციპალურ პროგრამებში, არასაკმარისი გამჭვირვალობა საკადრო გადაწყვეტილებებსა და ინვესტიციების მართვაში, გენდერული დისბალანსი ადგილობრივ თვითმმართველობებში, - ეს არის ამ თემების მცირე ჩამონათვალი.

2015 წელი გამორჩეული იყო ოფისის იურისტებისთვისაც: რეგიონში განსაკუთრებით აქტუალური იყო საჯარო სამსახურიდან მოქალაქეთა გათავისუფლების ტენდენცია. არაერთ შემთხვევაში ორგანიზაციას გაუჩნდა ლეგიტიმური და დასაბუთებული ეჭვი გადაწყვეტილებათა პოლიტიკური მოტივაციის შესახებ. ჩვენი იურისტის ანა ბერძენიშვილის არგუმენტები უმრავლეს შემთხვევაში გაიზიარეს როგორც ბათუმის, ისე ხელვაჩაურის სასამართლოს, მოგვიანებით კი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა, შედეგად, სამსახურიდან გათავისუფლების 7 საქმე მომჩივანთა სასარგებლოდ დასრულდა; საკუთრების აღიარებასთან დაკავშირებით ასეთივე შედეგით დასრულდა 3 საქმე.

მედიის გარეშე ძალიან რთული იქნებოდა საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით, იმ ადამიანებისთვის ჩვენი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიგვეწოდებინა, ვისაც ჩვენი დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. პარტნიორულმა, ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე აგებულმა ურთიერთობამ მედია საშუალებებთან, არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების წარმატებული განხორციელება შეგვაძლებინა: ჩვენი ოფისის ანალიტიკოსმა ნათია ზოიძემ საფუძვლიანად შეისწავლა ბათუმის მერიის პროგრამა „იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს“, გაეცნო საერთაშორისო პრაქტიკას და ადგილობრივ კანონმდელობას, დაწერა რეზონანსული კვლევა, საგანგებოდ მოვაწყვეთ დისკუსიაც ამ თემაზე მოქალაქეების, დარგის სპეციალისტებისა და თანამდებობის პირთა მონაწილეობით. პირველი შემთხვევა იყო, როცა პროგრამის პოტენციურ მოსარგებლეებს გადაწყვეტილებათა მიმღებებისთვის კითხვის დასმის საშუალება მიეცათ. ვფიქრობთ, რომ ძალისხმევა შედეგს გამოიღებს და საქართველოსთვის ეს პრეცენდენტული მუნიციპალური პროგრამა სამაგალითო გახდება სხვა თვითმმართველი ქალაქებისთვისაც.

2015 წელი გამორჩეული იყო იმითაც, რომ არაერთი შეხვედრა გავმართეთ მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობასთან. სამწუხარო ისაა, რომ აჭარის მთიანეთის ბუნებისგან განსხვავებით, მოსახლეობის ყოფა არც ისე მიმზიდველია: მეწყერი, საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა, მუნიციპალური სერვისების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, უმუშევრობა მძიმე ტვირთად აწევს ისედაც დაცლილ სოფლებს. ორგანიზაციის რესურსების სიმწირიდან გამომდინარე, მხოლოდ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან პრობლემის გადასაჭრელად ადვოკატირებით შემოვიფარგლეთ.

გარდა ინფრასტრუქტურული გაუმართაობისა, პრობლემებია საგანმანათლებლო სისტემაშიც - მოსწავლეებს სურთ, მეტი იცოდნენ დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ორგანიზებით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში ლექციადისკუსია გავმართეთ ადრეულ ქორწინებასთან და ზოგადად, ქალთა საზოგადოებრივი როლის გაზრდის აუცილებლობაზე. აუდიტორიის რეაქციამ და ინტერესმა გაგვიძლიერა სურვილი, კიდევ არაერთხელ მოგვენახულებინა და ჩვენი გამოცდილების შესახებ მეტი მოგვეთხრო ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ კვალიფიციური სპეციალისტები გახდნენ ამა თუ იმ სფეროში და უარს ამბობენ ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნაზე.

დისკუსიები გაგრძელდა ბათუმშიც: ფარული მიყურადებისა და კამპანია „ეს შენ გეხებას“ შესახებ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტისა და ხელოვნების უნივერსიტეტებს სტუდენტებს ვესაუბრეთ, თან ვუჩვენეთ გერმანელი რეჟისორის ფლორიან ჰენკელ ფონ დონერსმარკის სადებიუტო ფილმი „სხვების ცხოვრება“. ფილმის სიუჟეტი გასული საუკუნის აღმოსავლეთ ბერლინში ვითარდება, სადაც საიდუმლო პოლიციის თვალთვალის სისტემა სახელმწიფო ტერორის ნაწილი იყო. ასეთივე დისკუსია გავმართეთ „ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის სკოლის - NIMD“ ბათუმის ფილიალშიც. წლის ბოლოს კი სტუდენტები შევახვედრეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაწერილ რამდენიმე საკონსტიტუციო სარჩელზე ვისაუბრეთ. ამ სარჩელების მომზადებაში ორგანიზაციის საპარლამენტო გუნდთან ერთად, ჩვენი ოფისის იურისტი თამარ ჭარბაძე მუშაობს, რომელიც უკვე 3 წელზე მეტია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დიდი და მეგობრული ოჯახის წევრია.

და ბოლოს, რადგან გუნდურობაზე ვთქვი ორიოდ სიტყვა, ომარ როდონაიაზეც მოგიყვებით: კაცზე, რომელიც სიდუხჭირემ და მარტოობამ არ გააბოროტა, საკუთარი პრობლემების შესახებ ჯერ გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორს ეთერ თურაძეს უამბო, მოგვიანებით კი ამავე გაზეთის არაჩვეულებრივმა რეპორტიორმა ნანა კვაჭაძემ სტატია გამოაქვეყნა, სტატიამ კი პირდაპირი მნიშვნელობით, ინტერნეტის მთელი ქართულენოვანი ნაწილი მოიარა - საქმე იქამდე მივიდა, რომ ომარის დასახმარებლად დიდ ბრიტანეთში სამუშაოდ თუ სასწავლებლად წასულმა ჩვენმა თანამოქალაქეებმაც კი დაიწყეს საქველმოქმედო თანხების შეგროვება. ერთმა სტატიამ ომარის ცხოვრება შეცვალა - ჩვენი აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის გადაწყვეტილებით, ომარი 2015 წლის დეკემბრიდან ჩვენი ოფისის თანამშრომელია და გვეხმარება უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ბაზის შექმნაში; ჩემი მეგობრების დახმარებით კი საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალა. დოკუმენტაცია უკვე გაგზავნილია, ველოდებით, როდის მიენიჭება დევნილის სტატუსი, რომ შემდეგ სახელმწიფომ მუდმივი და საკუთარი საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილოს.

ასეთი იყო 2015 წელი ჩვენი ოფისისთვის, 2016 კი, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი გამოწვევა და წარმატება გველოდება.

არჩილ თოდუა, ზუგდიდის რეგიონული წარმომადგენლეობის კოორდინატორი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2013 წელს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ზუგდიდში

2015 წელი „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ზუგდიდის რეგიონული წარმომადგენლობისთვის წარმატებული გამოდგა მოგებული სასამართლო პროცესებისა და საჯარო უწყებეთა საქმიანობის ეფექტიანი მონიტორინგის კუთხით.

ჩვენმა იურისტმა ლელა მოწონელიძემ მოიგო 4 სასამართლო პროცესი, ამათგან 3 ეხებოდა სოფელ ანაკლიაში მიწის ნაკვეთის უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტს, ერთი კი მესტიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ მოქალაქე თინათინ გულედანის მიმართ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, მისი სამსახურში აყვანაზე უარყოფითი დასკვნის გამოტანის შესახებ. თინათინ გულედანის საქმე იყო პრეცენდენტული, რადგანაც მსგავს საქმეზე სასამართლოს მიერ მომჩივანის სასარგებლოდ აქამდე განაჩენი არ ყოფილა გამოტანილი.

2015 წლის განმავლობაში ზუგდიდის ოფისმა 18 ბლოგ-პოსტი, განცხადება და ანგარიში გამოაქვეყნა. ამათგან 13 უშუალოდ ზუგდიდის ოფისის მიერ არის მომზადებული, 5 კი წარმოადგენდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ოფისების ერთობლივ კვლევას. ანგარიშებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კვლევა 2012-2014 წლებში საქართველოს მუნიციპალიტეტებში გაცემული პრემიისა და დანამატის შესახებ, ასევე გამოვლინდა კორუფციის სავარაუდო ფაქტი სენაკის მუნიციპალიტეტში. გამოქვეყნდა კვლევა გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის არასამეწარმეო იურიდიულ პირებში გაზრდილი სახელფასო დანახარჯებისა და საშტატო ერთეულების შესახებ.

ჩვენი ორგინზაციისა და რადიო „ათინათის“ მიერ ერთობლივად მომზადებული 40 რადიოგადაცემა გავიდა პირდაპირ ერთერში, სადაც მიმოიხილებოდა შესაბამისი კვირის მნიშვნელოვანი საკითხები.

2015 წლის განმავლობაში კონსულტაცია გავუწიეთ ოთხმოცამდე მოქალაქეს, დავეხმარეთ განცხადებების მომზადებასა და შუამდგომლობის წერილების მომზადებასა და საჯარო უწყებებთან შეხვედრის ორგანიზებაში.

მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ ზუგდიდისა და თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტების 2016 წლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, შევთავაზეთ ჩვენი რეკომენდაციები.

სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისთან ერთად ვიმუშავეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტთან მუნიციპალური სოციალური პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინეს. მსგავსი შეხვედრები გაიმართა მუნიციპალურ ინფრასტრუქტურულ პრობლემებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხებზეც.

დავესწარით თემი ზუგდიდისა და ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს სხდომებს, პერიოდულად ვერთვებოდიით სხვადასხვა საკითხების განხილვაში და ვთავაზობდით ჩვენს წინადადებებს.

მარტვილის მუნიციპალიტეტში დავაკვირდით შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს.

ზუგდიდში მოქმედი ორივე უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის რამდენიმე ეტაპად ჩატარდა საჯარო ლექციების კურსი სხვადასხვა საკითხზე.

ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გავმამრთეთ რამდენიმე დისკუსია სხვადასხვა საკითხზე (ადგილობრივი ანტიკორუფციული სისტემა, დევნილთა განსახლების პრობლემები, ანაკლიელ მცირემეთევზეთა პრობლემები და საჭიროებები, კვლევა ქართული მედია ორგანიზაციების მფლობელების შესახებ, საარჩევნო სისტემის მიმოხილვა, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგები, მოქალაქეთა თანამონაწილეობა, მედიასთან ურთიერთობა, ფარული მიყურადება, საჯარო მოხელეთა ვალდებულებები არჩევნებისას, მუნიციპალური სოციალური პროგრამები და სხვა).

ჩვენმა ოფისმა 2015 წელს კიდევ ერთხელ გამოიკვლია, თუ რამდენად არიან ქალები გადაწყვეტილების მიმღებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში. ამავე პერიოდში გააქტიურდა საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ სისტემაში ქალთა კვოტირების მხარდასაჭერად და ჩვენმა კვლევამ რეგიონში საინტერესო დისკუსიას დაუდო სათავე.

ზოგადად, ჩვენი ოფისის აქტივობებზე მედიაორგანიზაციების მიერ 200-მდე სტატია და სიუჟეტი იქნა წლის მანძილზე მომზადებული.

ზურაბ ზამბახიძე, ქუთაისის ოფისის კოორდინატორი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2015 წელს

ქუთაისის ოფისის მიღწევები და გამოწვევები

2015 წელი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ქუთაისის ოფისისათვის საკმაოდ დატვირთული იყო როგორც ანალიტიკური კვლევების, ასევე სამართლებრივი დახმარების კუთხით.

წლის მანძილზე ოფისმა სამართლებრივი დახმარება აღმოუჩინა ათეულობით მოქალაქეს და მოიგო რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე. კონსულტაციები ძირითადად შეეხებოდა კონკურსებს, ატესტაციებს, შრომით-სამართლებრივ დავებს, სოციალურ და საკუთრების უფლების საკითხებს.

ხაზგასასმელია კონკურსებთან და ატესტაციებთან დაკავშირებული 2 სამართლებრივი დავა სამტრედიაში, რომელთა ფარგლებშიც კონკურსანტები ასაჩივრებდნენ კონკურსის შედეგებს რითაც მათ უარი ეთქვათ ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნაზე და რომლებიც ჩვენი ოფისის წარმატებით დასრულდა.

წლის მანძილზე ოფისის იურისტები ახორციელებდნენ სასამართლო წარმომადგენლობას ფოთში, რეორგანიზაციის საფუძვლით განთავისუფლებული საჯარო მოხელეების 2 საქმეზე. ორივე დავა მოქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა. ერთერთ შემთხვევაში ფოთის მერიას მოქალაქის თანამდებობაზე აღდგენის გარდა, მისთვის 14 000 ლარის ოდენობის განაცდურის გადახდა დაეკისრა.

ოფისის იურისტები ასევე აწარმოებდნენ სამართლებრივ დავებს ზედდების თემაზე, რომელიც ასევე წარმატებით დასრულდა და მოქალაქეს დაუკანონდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ოფისმა დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის მონიტორინგი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით; თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ააიპ-ების რეორგანიზაციის სამართლებრივი მხარეები, საკრებულოს საქმიანობაზე დაკვირვება, მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის საკითხები, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა და ფინანსური უზრუნველყოფა.

ოფისი წლის განმავლობაში აქტიურად მართავდა შეხვედრებს მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან, რათა ადგილობრივი თვითმმართველობა პროექტ „შეაკეთე ჩემი ქუჩას“ ფარგლებში გააქტიურებულიყო აღებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქალაქეთა მიერ გაგზავნილ შეტყობინებებზე რეაგირების თვალსაზრისით.

ზემოთმოყვანილი თემების მონიტორინგის შედეგად ოფისმა მოამზადა შესაბამისი კვლევა ქუთაისის ბაგა-ბაღების რეორგანიზაციის პროცესში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ და საკუთარი რეკომენდაციები საზოგადოებასა და მედიას წარმოუდგინა. სპეციალური ანგარიშის

გამოქვეყნებას საზოგადოების საკმაოდ დიდი რეზონანსი მოყვა, სწორედ ამიტომ რეორგანიზაციის თემა ასევე გაშუქდა რადიო „ძველი ქალაქის“ ეთერში, გადაცემათა ციკლის - „გამჭვირვალე პოლიტიკა, ინფორმირებული მოქალაქეები აკონტროლებენ მთავრობას“ ფარგლებში.

მუნიციპალური სამსახურების მუშაობის შეფასების გარდა, წლის მანძილზე რადიო გადაცემები მიეძღვნა ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ტენდერებში გამგეობის თანამდებობის პირების შესაძლო ინტერესებს, ინფრასტრუქტურულ პრობლემატიკას ქუთაისში, ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანტიკორუფციული სისტემის შეფასების ანგარიშსა და მედიის თავისუფლების კუთხით რეგიონსა და ქვეყანაში არსებულ პრობლემებს.

ოფისის მიერ გასული წლის მანძილზე მომზადდა ბლოგპოსტი ქუთაისში არსებულ მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის თემაზე, რადგან ეს თავშესაფარი ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის სტანდარტებს, ცხოველები იმყოფებოდნენ გაუსაძლის პირობებში, ხოლო მიუსაფარი ცხოველების შესახებ შეტყობინებებზე რეაგირება თითქმის არ ხდებოდა. აღნიშნული საკითხის მოუწესრიგებლობის შედეგი იყო ის, რომ მიუსაფარი ძაღლის მიერ დაკბენილი მცირეწლოვანი ბავშვი ცოფის ვირუსით გარდაიცვალა. ორგანიზაციის ამ საკითხში აქტიური ჩართულობით მოხერხდა მეტი ყურადღების დათმობა აღნიშნული თემისათვის. დღესდღეობით თავშესაფარი მუნიციპალურ კონტროლს დაექვემდებარა და ადგილობრივი თვითმმართველობა სრულ პასუხისმგებლობას იღებს მისი შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფაზე.

სხვა რეგიონალურ ოფისებთან ერთად, 2015 წელს ქუთაისის ოფისის განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტი იყო ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტების მიერ პრემიებზე, სახელფასო დანამატებსა და მივლინებებზე გაწეული ხარჯები. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, იმერეთის, შიდა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა კვლევა, რომელმაც თვალსაჩინო გახადა საკმაოდ მასშტაბური ადმინისტრაციული ხარჯები ამ მუნიციპალიტეტებში.

2015 წელს ოფისი ასევე აქტიურად იყო ჩართული ორგანიზაციის მიერ მომზადებული საარჩევნო რეკომენდაციების საზოგადოებისთვის გაცნობის პროცესში. ამ მიმართულებით მოეწყო ფართომასშტაბიანი პრეზენტაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლებთან ერთად.

წლის ბოლოს გაიმართა შეხვედრების აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის განახლებისა და სტუდენტებთან რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფის მიზნით.

ნანა ლობჟანიძე, კომუნიკაციების ოფიცერი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2006 წელს

იყავი აქტიური მოქალაქე და დაიცავი შენი უფლებები

2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ორგანიზაციის მთავარი გამოწვევა და მიზანი იყო ჩვენი ძირითადი გზავნილების რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე მიტანა და ორგანიზაციის ცნობადობის ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი ორგანიზაცია მთავარ პარტნიორად ჟურნალისტურ კორპუსს მოიაზრებს და მასთან მჭიდროდ თანამშრომლობს.

2015 წელს გამოვაქვეყნეთ 93 ბლოგი, 204-დე განცხადება და პრესრელიზი ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებს, გამოქვეყნებულ ბლოგებს თუ განცხადებებს და სხვა ჩვენს საქმიანობას ***1629 სატელევიზიო სიუჟეტი, 1428 ინტერნეტ სტატია, 547 რადიო გადაცემა და 497 ბეჭდვითი მედიის სტატია მიეძღვნა.***

თუმცა, საკუთარი ძალებითაც ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობის შესახებ მივაწოდოთ ადამიანებს ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე. რადგან ჩვენი კვლევები და ბლოგები უმეტესად იურიდიული ტერმინოლოგიითაა გაჯერებული და საკმაოდ მოცულობითია, დრო და დრო ვაკეთებთ პატარა ვიდეო რგოლებს, სადაც ვცდილობთ მარტივად, კონკრეტული მაგალითებისა და ნამდვილი ისტორიების გამოყენებით ავხსნათ სათქმელი. ჩვენს პროდუქციას YouTube-სა და Facebook-ზე ვავრცელებთ. ასევე ვამზადებთ ვიდეო ინსტრუქციებს სხვადასხვა საკითხებზე. 2015 წელს მოვამზადეთ 4 ვიდეო ინსტრუქცია: როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია საინფორმაციო მაცნეში, ინფორმაცია ტელევიზიის მფლობელებზე, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებზე და ასევე კერძო საკუთრებაზე. 2015 წელს მოვამზადეთ ორი ვიდეორგოლი აქტიური სამოქალაქო პოზიციის პოპულარიზაციისათვის. „იყავი აქტიური მოქალაქე და დაიცავი შენი უფლებები“ - ეს იყო რგოლების მთავარი მესიჯი.

2015 წლის საქმიანობისას მიზნად დავისახეთ მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა ამომწურავი ინფორმაცია რა სახის სერვისების მიღება შეუძლიათ სახელმწიფოსგან და რა უფლებები აქვთ მათ. 2015 წლის გაზაფხულზე დავბეჭდეთ ბროშურები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე: როგორ დავარეგისტრიროთ მიწა საკუთრებაში, როგორ გავწევრიანდეთ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში, როგორ მივიღოთ სოციალური დახმარება და რა უფლებები აქვს მოქალაქეებს ადგილობრივ თვითთმართველობებთან ურთიერთობისას. მოვაწყვეთ გასვლითი შეხვედრები მაღალმთიან აჭარაში, სადაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს დავურიგეთ მასალები, ასევე ვესაუბრეთ მათ ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებზე, ამ პრობლემების გადაჭრის ჩვენეულ ხედვაზე, ევროინტეგრაციის აუცილებლობაზე.

2015 წლის მოვლენებიდან აღსანიშნავია ჩვენი და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ 19 მაისს რიგაში გამართული კონფერენცია, სადაც ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის კუთხით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი განვიხილეთ. კონფერენციის მონაწილეები შეეცადნენ პასუხი გაეცათ შეკითხვებისთვის: რამდენად შეასრულა საქართველომ ნაკისრი ვალდებულებები რიგის სამიტამდე? რა მომავალი აქვს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს? როგორია აღმოსავლეთ პარტნიორობის პერსპექტივები?

ასევე, 2015 წლის ივნისში მონაწილეობა მივიღეთ ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ „ამერიკის დღეებში“ . ზუგდიდში 2 ივნისს დაწყებული ღონისძიებების სერია, 6 ივნისს თბილისში, რიყეზე დასრულდა. „საინფორმაციო ბაზრობა“ მოეწყო რიყის მთელს ტერიტორიაზე, სადაც ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტებს, გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებს. ჩვენ ამ ბაზრობაზე წარმოვადგინეთ USAID-ის დაფინანსებული პროგრამის „საქართველოში კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების მხარდაჭერა“ ფარგლებში შემუშავებული მასალები.

2015 წლის, ისევე როგორც გასული წლების, საქმიანობის ნაწილს შეადგენდა ადვოკატირების კამპანიები. ერთ-ერთ ასეთი კამპანია იყო ნეპოტიზმის კრიმინალიზაცია. ჩვენ დიდი ხანია ვსწავლობდით საჯარო სამსახურში თანამშრომელთა აყვანა-გათავისუფლების საკითხებს და ვიცავდით უფლებაშელახულ საჯარო მოხელეებს. როგორც ჩვენი ორგანიზაციის მიერ საკითხის კვლევამ უჩვენა, საჯარო სამსახურში საკადრო პოლიტიკა ხშირად გამჭვირვალობის პრინციპების დარღვევით წარიმართება. დიდწილად, ამას სამართლებრივი ხვრელები და არასათანადო რეგულირება უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ნეპოტიზმს და პატრონაჟს ახალისებს. სწორედ ამიტომ ჩვენი ორგანიზაცია გამოვიდა საჯარო სამსახურში ნეპოტიზმის კრიმინალიზების წინადადებით. კამპანიის ფარგლებში შექმნილ რამდენიმე ვიდეროგოლს 23,929 ნახვა ჰქონდა youtube-ზე.

ჩვენი ორგანიზაცია 2015 წელს 15 წლის გახდა. დეკემბრის დასაწყისში გამართული ანტიკორუფციული კვირეული დავასრულეთ ფოტოგამოფენით და მიღებით „სამოქალაქო აქტივიზმის 15 წელი“. 150-დე ფოტოზე ასახული იყო ჩვენი საქმიანობა დაწყებული 2000 წლიდან. ასევე, ვაჩვენეთ ფილმი ჩვენი ორგანიზაციის შესახებ. გამოფენის სტუმრებს შორის იყვნენ პარლამენტის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები.

პაატა ლოხიშვილი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ორგანიზაციას შემოუერთდა 2011 წელს

კარიერა ორგანიზაციაში

2015 წელი ჩემთვის, როგორც ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისთვის, საკმაოდ აქტიური და სიახლეების მომცველი გამოდგა.

ორგანიზაციაში შემუშავდა და დაინერგა სხვადასხვა თანამედროვე მეთოდები და პროცესები, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვას და სისტემის დახვეწას. აღნიშნულის ფარგლებში განვაახლეთ შიდა მონაცემთა ბაზები, მოქმედი რეგულაციები, პროფესიული განვითარების პროგრამა, მოტივაციის სისტემა, რეკრუტინგის პროცესი და სტაჟირების პროგრამა. ამასთან, მნიშვნელოვანი სამუშაო გავწიეთ ადამიანური რესურსების მართვის ფარგლებში არსებული პროცესების ოპტიმიზაციის და გაუმჯობესების კუთხით. რაც გავწერეთ მეთოდოლოგიის დონეზე და სრულად დავნერგეთ პრაქტიკაშვი. აღნიშნული კი ცალსახად ხელს უწყობს მის გამჭვირვალობას და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას.

წლის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნდა 20-ზე მეტი ვაკანსია თბილისის და რეგიონული ოფისების მაშტაბით. უშუალოდ ვაკანტური პოზიციები მოიცავდა როგორც კვლევითანალიტიკურ, ისე ფინანსურ, ადმინისტრაციულ და იურიდიულ მიმართულებებს. აღნიშნულ პროცესში რეკრუტინგი მიმდინარეობდა ღია და გამჭვირვალე სისტემით, რომლის ფარგლებშიც ჩვენს მიერ დაინერგა კანდიდატების შერჩევის და შეფასების თანამედროვე მეთოდები. თითოეული ვაკანსიის განაცხადი მოიცავდა საკმაოდ დეტალურ აღწერილობას ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც განთავსებული იყო სამუშაოს საძიებო პოპულარულ ვებ-გვერდებზე და სოციალურ ქსელში. უშუალოდ რეკრუტინგი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, რომელიც დაფუძნებულია შერჩევის ერთიან შიდა სტანდარტზე და მასში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი კანდიდატები.

წარმატებულ აპლიკანტებს მიეცათ თანაბარი შესაძლებლობა ორგანიზაციაში მუშაობის დაწყების და კარიერის განვითარების კუთხით. კერძოდ, კომფორტული სამუშაო გარემოს და წინასწარ განსაზღვრული ამოცანების გათვალისწინებით ჩვენი გუნდის ახალმა წევრებმა ერთის მხრივ, მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების და აქტივობების წარმატებულ განხორციელებაში ხოლო, მეორეს მხრივ გაიღრმავეს პროფესიული უნარ-ჩვევები და მიიღეს სასარგებლო გამოცდილება. ამასთან, პროფესიული მომზადების და კარიერული განვითარების თანამედროვე სისტემის გამოყენებით თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა აემაღლებინათ კვალიფიკაცია და მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში და სასერთიფიკატო კურსებში, როგორც საქართველოს მაშტაბით ისე მის ფარგლებს გარეთ.

ადამიანური რესურსების მართვის კუთხით ჩვენს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტაჟირების პროგრამა, რომელიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე ცხადდება და მოიცავს სტაჟირებას თბილისის ოფისის, რეგიონულ ოფისების, საპარლამენტო პროგრამის და სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში. სტაჟირების პროგრამა გამოცხადებისთანავე ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პარალელურად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შესაბამისი განაცხადი ეგზავნებათ ქვეყნის მაშტაბით წამყვან და რეგიონულ სასწავლო დაწესებულებებს. საერთო ჯამში წლის განმავლობაში 50-ზე მეტს ახალგაზრდას, მათ შორის უცხოელ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა გაევლოთ სტაჟირების პროგრამა, გაცნობოდნენ ჩვენი მუშაობის სპეციფიკას და მიეღოთ სასარგებლო გამოცდილება. ამასთან, ჩვენს ორგანიზაციაში 5 გამორჩეული და წარმატებული სტაჟიორი დასაქმდა სხვადასხვა სამუშაო პოზიციებზე.

2015 წელი

იდეალური გენდერული ბალანსი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“

24 | 24

15
ჩვენ წელი
შეგვისრულდა

2015 წლის დონორები

- შვედეთის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (Sida)
- აღმოსავლეთ - დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI),
  აშშ - ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით
- საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) / USAID
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)

ფინანსური მონაცემები

დანახარჯები (ლარში)



დონორებისგან მიღებული შემოსავლები (ლარში)



შემოსავლები წლების მიხედვით (ლარში)



ანგარიში დაიბეჭდა შვედეთის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს
ფინანსური მხარდაჭერით

თბილისი
2016

ASSET DECLARATION SYSTEMS
International Practices and Lessons for Georgia
PAYROLL
Open Government Partnership
USAID
giz